



კვირა, 15 მაისი	ფასი
№ 20 — 1916	10 კ.

წელიწადი
მ ე ო თ ხ ე



სვიმონ ლიონიძე (კ. ყიფიანი "ხამშობლო"-ში)
დღეს ნაძალადევის თეატრში.

რედაქცია თქვენი და ცნობებსა
მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 7 მაისს გერმანიაში
გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტი

ლადო დარჩიაშვილი

პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში დღეს, 15 მაისს, დილით.

† ლადო დარჩიაშვილი

უპირობედი ქართველი ხალხის ვაებაზე ხელს არ იღებს!

აგერ დეპეშამ საზარელო ამბავი მოგვითხრო: გერმანიაში, ლეიპციგის ახლო სოფ. პატარა შოხაში 2 მაისს კუქის ანთებით ავად გახდა, ხოლო 7 მაისს გარდაიცვალა ლადო დარჩიაშვილი, დოქტორი ფილოსოფიისა.

მაშ ბედის დაცინვა არ არის: კაცი, რომელიც სამშობლოს მიწა-წყლის შემოფარგვლას, მამულის მთლიანობას შესტრფოდა. უცხო ცის ქვეშ უცხო მიწაზე მიიკრა გულს...

იგი ცნობილი პუბლიცისტი იყო, ქიზიყიდან და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოჩნდა ეგ. ნინოშვილის დაკრძალვის დღეს, 1894 წ.

ჩვენმა სამშობლომ, ახალმა დემოკრატიულმა საქართველომ მასში დაპყრობა ერთი ძლიერი ადამიანი, რომელმაც თავისი მოძღვრების განვითარება საესებით ვერ მოასწრო.

ლადო დარჩიაშვილი ბრველი იყო, რომ თანამოაზრეებს გამოეყვინა და საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის ქდაგება დაიწყო...

1906—1909 წწ. მან საკულთარი ჟურნალიც გამოსცა: „გერ. სალიონია“, შემდეგ „ახალი კვალი“.

დიად, მისი გამოსვლა ჩვენი ცხოვრების ადამიანი იყო და ჩვენი დემოკრატიის საზოგადოებრივი აღზრდა-განვითარების ახალი კვალი...

ამის გამო ამხანაგებმა უხაყვედურეს, მაგრამ მან გაბედულად და ენდურეკლად გამოსტყვა თავისი მრწამსი, საქართველოს საჭიროებით გამოაწვეული: მხოლოდ პირველი სიტყვა სტყვა, არ დასცალდა მეორე სიტყვის თქმა...

მითაც მკრად მოსაგონარი იქნება და სამშობლო მის ამაგს არ დაიწყებს.

ნეტარ ხსენება შენ, ძვირფასო მეგობარო, ლადო, სამშობლოს წაამაგდარო შვილო!

იონებ არიმათიელი



№ 20

წელიწადი
მ ი ა თ ხ ე

კამეტიის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალ-
კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება
„სორაპანი“ სტამბაში ყოველ ეკმს.
ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდე-
ბა.—ხელთნაწერები საქართვებისამებრ შეს-
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ სტამბის
კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი
5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამარ-
თი: Тифლისь, Ред. „Театри да Цховре-
ბა“ Ис. Имедашвили.

№ 20

ქვირა, 15 მაისი

1916 წ.

უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან

VI

ნათქვამია კაცმა კირი მალა, კირმა თა-
ვი არ დამალაო.

რაც უნდა ვმალოთ სომეხ-ქართველთა
ურთიერთობის ხასიათი, ეს ურთიერთობა თვი-
თონ არ მალავს თავს და, რაც დრო გადის,
თანდათან უარესდება, მწვევდება.

რომ ვიძახოთ, ერთმანეთის ძმები და მე-
გობრები ვართო, თავის მოტყუება იქნება.

ძმებიც უნდა ვიყოთ, მეგობრებიც! ან კი
რატომ არ უნდა ვიყოთ? ერთად გვიცხოვრია
და ვცხოვრობთ, ერთგვარ პირობებში ვიმყო-
ფებით, ერთს ბედ ქვეშა ვართ, ერთგვარი კი-
რი გვაჩნია წყლულათ, ერთნაირ ეროვნულ
იდელს შევტრფით.

უნდა ვიყოთ დიადაც, მაგრამ არა ვართ,
ან უკეთ რომა ვსტქვა, ალ რა ვართ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს
ქართველები და სომხები ერთი მეორისაგან
არ განირჩეოდნენ, ძმურათ, მეგობრულათ ცხო-
ვრობდნენ და ერთათ ეწეოდნენ საქვეყნო სა-
ქმეს.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც
მეგობრულ-ნათესაური განწყობილება ჩვენ
შორის არ შეწყვეტილა.

ბევრი ჩვენი გამოჩენილი პირის დედა ს-
მები იყო და ამ გვართა ქორწინების შემწე-
ობით ჩვენ შორის მეგობრობა კი არა ნათე-

საობაც კი ფეხს იმაგრებდა. დიდი ხანი არ
არის მას აქეთ, რომ „გაუბოლიტიკებელი“
მოქალაქე სომეხი იტყოდა ხოლმე: ჩვენ სა-
ქართველოს ხალხიო; დღეს კი ამგვარ რასმე
ვედარ გაიგონებთ. დემოკრატიულ წრეებში
ქალაქათ და სოფლათ მეგობრობის ნაცვლათ
სიძულვილი იკიდებს ფეხს: ქართველი მოქა-
ლაქე და სომეხი მოქალაქე, ქართველი ხე-
ლოსანი და სომეხი ხელოსანი, ქართველი
გლეხი და სომეხი გლეხი თუ წინეთ მეგობრუ-
ლათ, თანხმობით ეწეოდნენ შრომის უღელს,
დღეს ერთი მეორეს იძულებენ.

ეს სამწუხარო, მეტათ სამწუხარო სინამ-
დვილია. მაგრამ ამ სინამდვილის წინაშე თვა-
ლები კი არ უნდა დავხუჭოთ, კი არ უნდა
გადავფარცხოთ ის, უნდა კარგათ დავინახოთ,
რომ როგორმე თავიდან მოვიშოროთ.

ქართველსა და საქართველოში მცხოვ-
რებ სომხის დემოკრატიას, მშრომელ ხალხს
რა აქვს ერთმანერთთან სამტრო და სიძულ-
ო არაფერი.

ორივეს ინტერესი, ორივეს კეთილდღე-
ობა, ორივეს მომავალი მოითხოვს, ერთათ,
მეგობრულათ, თანხმობით მიქმედებასა და
ცხოვრებას. ორივემ უნდა კარგათ დავინახოთ
ის მიზეზები, რომლებიც ერთმანეთს გვაძუ-
ლებენ და ორივე უნდა შევეცადოთ ამ მიზე-
ზების ძარიან-ფესვიანად აღმოვხვრას.

სიძულვილის მიზეზს ხშირად ჰხედვენ
შემდეგ მოვლენაში: თავად-აზნაურობას მამუ-
ლი ხელიდან ეცლება, ქართლ-კახეთში მამუ-
ლის დიდი ნაწილი სომხების ხელში გადადის;

გაკორტებული თავად-აზნაურობა თავისი უბედურების მიზეზს სომხის ბურჟუაზიაში ჰხედავს და, სხვა რომ არა შეუძლიარა, მთელი სომხობის მიმართ მტრობა-სიძულვილს ქადაგებსო.

სხვების აზრით ქართველი ბურჟუაზია ნელანელა იზრდება. სომხის ბურჟუაზიაში ისა ჰხედავს ძლიერ მეტოქეს და ამიტომ მწვავედობა ქართველ-სომეხთა ურთიერთობაო.

ორივე ამ მოვლენას, რასაკვირველია, აქვს ალაგი ჩვენს ცხოვრებაში; ორივე ამ საბუთში არის ქეშმარიტება, მაგრამ სომეხ-ქართველთა ურთიერთობა მართლ ამ საბუთებით არ აიხსნება.

ამ საბუთების მიხედვით მთელი ბრალი ამ ურთიერთობის გამწვავებაში ქართველ თავადებს და ვაჭრებს ედება: პირველები გაკორტებულან, მეორეებს გამდიდრება უნდათ, სომხის ბურჟუაზია კი არაფერ შუაში არა ყოფილა.

სომხის ბურჟუაზია დიდი ხანია იძენს ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში მამულსა და ქონებას, მაგრამ ამ შეძენას უწინ ჰქონდა მხოლოდ ჰაჩადა, ეკონომიურა ხასიათი: თავადი ჰყიდდა, სომეხი ყიდულობდა, თავადს აკლდებოდა, სომეხს ემატებოდა, თავადი ღარიბდებოდა, სომეხი მდიდრდებოდა.

ერთის სიტყვით ამ პროცესს წმინდა ეკონომიური ხასიათი ჰქონდა. ამის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი არ გვეთქმის.

რასაკვირველია, სასურველი იყო და ფრიად საჭირო, რომ ჩვენი თავადების ადგილმამული ჩვენსავე გლეხებს დაჩენოდათ; მაგრამ გლეხები ხელმოკლეთ იყვენ და ადგილების ერთად ერთი მყიდველები სომეხები იყვენ. ისინიც ჰყიდულობდენ და, რასაკვირველია, უნდა ეყიდათ.

დრო გავიდა. სომხის ბურჟუაზია საქართველოში ძალიან მომაგრდა; საქართველოს მიწა-წყალზე შესაძენევათ მომაგრა ფეხი. სომხის ბურჟუაზია მეტათ ვაიზარდა და მას დაებადა იმპერიალისტური მისწრაფება. აი სწორეთ ამ დღიდან საქართველოში ადგილმამულისა და ქონების შეძენის ხასიათი ნელანელა და თანდათან ჰკარგავს ეკონომიურ სა-

ხეს და ღებულობს შოლიტიკურს: სომხის ბურჟუაზიის მიზანია საქართველოს დაპყრობა და შიგსომეხთა გაძლიერება.

თუ სომხის ბურჟუაზიამ თავის მიზანს მიაღწია და იმპერიალისტური მანა დაიკმაყოფილა, ჩვენ მოსპობა მოგველის.

აი უმთავრესი მიზეზი ჩვენ შორის მტრობა-სიძულვილისა სწორეთ აქ არის.

სომხის მსხვილ ბურჟუაზიას აქვს თავისი საკუთარი იდეალი, საკუთარი მისწრაფება. მისი მისწრაფება ძირიან-ფესვიანათ ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის მისწრაფებას.

სომხის მსხვილი ბურჟუაზია სისტემატიურათ, ყოველ გვარის საშუალებით ახორციელებს თავის განზრახვას და არავითარი მეგობრული კავშირი ქართველ ხალხთან მას არა სურს. ან როგორ შეიძლება მეგობრული განწყობილება გსურდეს იმ ადამიანთან, რომელსაც გადაყლაპავს უპირებ.

თუ ზოგჯერ ამ ბურჟუაზიის წარმომადგენლები მეგობრობაზე დაიწყებენ ხოლმე ლაპარაკს, ეს ცალიერი სიტყვებია: სომხის მსხვილი ბურჟუაზია ისეთ გზას ადგია ჩვენში, რომ მასთან არავითარი მეგობრული კავშირი არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა და აუცილებელი, რომ სომხის ბურჟუაზიამ თავისი პოლიტიკა შესცვალოს ჩვენში; ეს კი ყოველად შეუძლებელია.

ერობის შესახებ თათბირმა საკმაოთ გამოაშკარავა, რომ სომხის მსხვილ ბურჟუაზიას არავითარი მეგობრული კავშირი არა ჰსურს ჩვენთან და არც შეუძლია.

რისთვის ილაშქრებდენ სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენლები არსებული ტიპის ერობის წინააღმდეგ? იმიტომ რომ ეს ერობა დემოკრატიული არ არის?

ნეტავი როდის შემდეგ შეიქნა სომხის მსხვილი ბურჟუაზია დემოკრატიის ინტერესების დაპყველი, ან როდის შეითვისეს მისმა წარმომადგენლებმა დემოკრატიული თვალსაზრისი?

არსებული ტიპის ერობა მათ მხოლოდ იმიტომ დაიწუნეს, რომ ამ გვარ ერობაში ისინი ყველგან უმცირესობას შეადგენენ.

მერე რა ვუყოთ?

თუკი მეგობრობა და ს... ლიდარობა ჰსურთ, ეს რას შეუშლის ხელს?

მაგრამ მათ უნდათ, ერობაშიც უმრავლესობას შეადგენდნენ, ისე როგორც ქალაქის თვითმართველობაში და სული ამოგვართვან. არსებული ტიპის ერობა რომ სომხის ბურჟუაზიის უმრავლესობას აძლევდეს, იცოცხლეთ მას ორივე ხელგებით ჩასქიდებოდა და ხელს აღარ გაუშვებდა.

თუ რომ უმცირესობაში დარჩენა ამდენათ საზარალოა, მაშ რათ გადააქცია სომხის მსხვილმა ბურჟუაზიამ ქალაქის თვითმართველობა წმინდა სომხურ დაწესებულებათ და ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ქართველობა შიგ არ შეუშვას?

ყოველივე ეს მხოლოდ იმ აზრის გასაშუქებლათ მოვიყვანე, რომ სომხის მსხვილ ბურჟუაზიის არ წყუძლია სხვებთან და არც ჩვენთან მეგობრობა და ურთიერთობა.

სომხის მსხვილი ბურჟუაზია მეტათ ძლიერია და მომზადებული, მას აქვს მჭიდრო ორგანიზაცია; ის ცოცხლად ლაპარაკობს და ბევრ საქმეს აკეთებს. ქართველი ერის არსებობისათვის მისი საქმიანობა მეტად დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

ჩვენ კი ყოველთვის ბევრს ვლაპარაკობთ და ცოტას ვაკეთებთ. თუ აწიკ ამ გზით ვიარებთ, შეუძლებელია და შეუწყნარებელი.

უნდა თვალი გავახილოთ და ვიღონოთ რამე.

ვ. მესხი

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მზემ გაიცინა...

ზამთრისაგან გასუსხულმა დედამიწამ, თითქოს პირბადე მოიხადა, მკვრივი გაიკვლუტა და საპატარძლოდ გაიღიმა, — მისი გიჟმაჟი სატრფო — ცეცხლ-მფრქვევი მზე ისე მხურვალედ ეამბორა, ისე გრძობით აციმციმდა, რომ დედამიწას ჟრუანტელმა დაურბინა, სიცოცხლის ვნებით დაითრო.

— გუგუ, გუ-გუგუ! — გადასძახა გუგულმა ამწვანებულ მიდამოს.

— ჟივ-ჟივ-ჟივ! — დაიკრიალეს ჩიორებმა.



ვლ. მესხი

ამ წამად თბილისში იმყოფება და სამშაბოს, 17 მაისს, სახალხო სახლში ურიელ აკოსტას წინაშე წასრულდება.

— მომილოცნია, მომილოცნია! გაუგალობა შეშვმა შეშვს და მხიარული სიმღერით სურათში შეფრთხილდა.

— ჰა, ჰაჰა, ჰაჰა! როგორ თბილა, როგორ ეს დალოცვილი! ახლა თამამად შემიძლია მზეს შევხედო, გავიშალო და ავყავდე. რა კარგია ეს დალოცვილი გაზაფხული, რა ტკბილია სიცოცხლე! — გაფიქრა უნო იამ და სამი ყური ცქვიტა...

— თეო, ჰა თეო! თუ ღმერთი გწამს, სადილი ეზოში მომიტანე, იქ მიჩვენებ; რაკი ღმერთმა გაზაფხული მომასწრო, აწი არაფერი გვიჭირს: მოვხნავ, მოვთესავ და ისეთ სიმინდს ავაზიზინებ, ისეთს რომ... თვალი დაუდგეს ამ ომს თვარა, ჩემი სიკოც რომ აქ შევადგეს, წელს თორმეტ ქცევას გადავბრუნებდი... მერე რა ტორიანი ბიჭია ვენაცვალე, ნახევარ ქცევას თოხნიდა დღეში. ნეტაი მშვიდობით დამიბრუნდეს და...

— ვაი მე, შვილო! ვაი შენს დედა! ეს ექვსი თვეა წერილიც არ მიმიღია. ღმერთო შენ იხსენი ჩემი ბიჭი, ჩემი სიცოცხლე! წამართვეს ჩემი წვით და დაგვით გამოზდილი, ჩემი ერთადერთი ნუგეში! ვაი მის დედას... გცადე პეტრე ეცადე!..

გულ დაწყვიტით ამოიკვნესა თეომ.

— კაფე-თესე! კაფე-თესე! — გადასძახა კიდევ გუგულმა.

საიდანღაც ერთი ობოლი მერცხალი გა-
შოჩნდა; როდესაც კი მოჰკრეს თვალი გაზაფ-
ხულის მახარობელს, ბავშვებმა, ფრინველ-
ებმა და ყვაილებმა ერთხმად წამოიძახეს:

— გაზაფხული! გაზაფხული!

— მომი-ლო-ცნია! მომი-ლო-ცნია! მხი-
არულად ჩამოსძახა ცის სივრცეში აჭურ-
ბულმა ტოროლამ...

მზე კი თან და თან ენთებოდა!..

—

რა კარგი იქნებოდა, რომ მზის ელვა-
რებას, გაზაფხულის სიკეკლუცეს სისხლიც არ
ეცხოს!..

რა კარგი იქნებოდა, რომ სიყვარულის
მზეც ამოვიდოდეს!..

რა კარგი იქნებოდა, რომ ბუნების მეჯ-
ლისთან ერთად ადამიანიც ხარობდეს!..

ღარია ახვლედიანისა



ტანჯული მგოსანი*)

(ჭოლა ლომთათიძის ხსოვნას)

ცქრიალა ნაცარა ჩიტმა ლატაკ გლახთა
უბანში ასკილის ბურღზე ბუდე გაიკეთა. და,
როცა გაზაფხულის საღამოს მთვარე ცაზე
ამოსცურდებოდა — ლატაკ გლახთა ქობებში
გაისმოდა ბულბულის საამური გალობა... და
ხმას გაკმენდა მთელი უბანი, ხმას გაკმე-
ლდა და მშიერ გულში იხუტებდა მომხი-
ბლავ ჰანგებს — და ყურს უგდებდა და სიხა-
რულის ცრემლებსა ღვრიდა...

ბულბული... ასკილის შტოზე მომღე-
რალი ბულბული იყო მათი მგოსანი, მათი
იმედი... მარტო ბულბული ფენდა სიხარულს
ლატაკთ უბანს. მარტო მისი ტკბილი ხმა იყო
ნუგეში ტანჯულ-ჩაგრულთა...

მაგრამ დიდხანს არ გასტანა... განთიად-
ზე, როცა იგი მიბნედილი, რიჟრაჟის პირველ
სხივებს ქებას უძღვნიდა და მზის ელვარებას
ელოდებოდა, წყეულმა შავარდენმა გადმოუ-
ქროლა... ჩასქიდა ბრქვალეები და ზევით, ზე-
ვით გააქანა...

*) ავტორის მიერ წაკითხული ქ. ბაქოში ჭ.
ლომთათიძის საღამოზე.

თამამად აპობს შავარდენი ჰაერს... მი-
დის სულ ზევით, ზევით და მის კლანჭებში
სულსა ლევს ტანჯულთ მღერალი. ნელა კრთის
იგი... შავარდენი ზევით, სულ ზევით მიქ-
რის... ამაყად აპობს ცის კაბადონს... ზევით,
სულ ზევით იცქირება... უნდა ცის უფსკრ-
ულში ლალი ჩიტუნა ჩაკლას — გაჰყინოს...
და მიქრის შავარდენი — და უკვირს, რომ ბულ-
ბულს ერთი კვენესაც არ ამოსკდა, ერთი შე-
ბრალებაც არ სთხოვა... და ზევით იცქირება
მაინც შავარდენი... ბულბული კი მის კლან-
ჭებში ოდნავ კრთის და ძირს იხედება...
ძირს... თვალწინ უდგას ღარიბთ უბანი, რომ-
ლის ნუგეშიც ის იყო. და აი, უკანასკნელად
ამოსკდა ბულბულს — უკანასკნელად არაკრა-
კდა იგი...

— შავარდენო, ზევით, სულ ზევით გას-
წი... მე სულსა ვლევ, მაგრამ მაინც არა გთხოვ
შებრალებას. არა... არა. მე მომღერალი ვი-
ყავ ლატაკთ უბნისა. ასკილზე იყო ჩემი ბინა.
იქ დაქანცული ვისვენებდი და მიბნედილი
ვუმღერდი ყველა ჩაგრულთა...

იცი, იცი შენ შავარდენო, როგორი იყო
ღარიბთ ოჯახი? ტანზე არა ემოსათ, საქმელი
არა ქონდათ... ცრემლი, ცრემლი იყო მხო-
ლოდ მათი ხვედრი. მე ამას ვხედავდი, ვგრძ-
ნობდი და საღამოს ჟამს ასკილზე ვმღეროდი,
რომ ჩემი სიმღერით უბედურ დედებს დაეხმა-
რებოდი, რომელნიც მშიერ ბავშვებს ვერ
აძინებდენ... ჰო, მე ვიყავი მათი ნუგეში —
მე ჩავსძახოდი, რომ მოისპობა ტანჯვა-წამება.
ჰო, მე... მე — ჩავსძახოდი... და შენ, შენ
მოსტაცე მათ ჩემი თავი. აბა, გადახედე ძირს.
რამდენი კვენესა ისმის, რამდენი მაგრამ შენ
გემის იგი?! არა... და წყეულიმც იყავ...

შავარდენო, წყეულიმც იყავ...

და ბულბულმა უკანასკნელათ დაიკვენესა...
სული დალია...

სიხარულისაგან დაიყვილა შავარდენმა და
ბრქვალნი უშვა უსულო ჩიტუნას. და ბზრი-
ალით წამოვიდა ზევიდან იგი და ტრიალს
მინდორზე მაყვლის შტოზე დაეცა...

უსულგულლოთ ჩამოეკიდა ეკალზე იგი,
ვინც თვისი რაკრაკით არეს ატკობდა, ვინც
ლატაკი უბნისა იმედი იყო...

გადიოდა ხანი, ჰაწა ბავშვები ქობებში
 სევდიანი შესჩერებოდნენ მშობლებს. მშობლებ-
 ბიც კითხვის ნიშნად ქცეულნი ბუღბუღლის
 სტვენას ელოდნენ... მარა ამათ. იგი უსულ-
 გულოთ მაყვლის შტოზე ეკიდა ..

და ბოლმა გამეფდა ტანჯულთ უბან-
 ში. ტირილს-ტირილი მიემატა, სევდას — სევდა.
 აღარ ისმოდა მათი ნუგეშის სტვენა...

მხოლოდ ბავშვთა საშინელი ზღუქუნნი

არყვედა ქობის კედლებს და დიდებიც დაღუ-
 მებულნი გაყურებდნენ სივრცეს...

მათი ნუგეში ბუღბუღლი მაყვლის ეკალ-
 ზე ცალი ფრთით ეკიდა და სიო ანიავებდა
 მის ბუმბულს...

წყეული შავარდენი კი ცის სივრცეში
 დაჰყიოდა, დანავარდობდა...

ღია ჩიანელი

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

ს უ რ ა თ ე მ

სატრფოვ! გიძღვნი ამ ჩემ სურათს, შეინახე სანამ გსურდეს,
 და თუ ოდეს ჩემზე გული შეიცვალა, აგიცურდეს,
 მაშინ დასწვი... მიჯობს შენმა ხელმა განაცარ-მტვეროს,
 ვინემ საღმე მიგდებული სხვის სამასხროთ დაიმტვეროს.

ცვარნამი

ღამე სტამბოლში

(ძველი რვეულიდან)

შუა ღამეა! სძინავს სტამბოლს—მსოფლიოს თვალ-გულს,
 მთვარე ნამგალა მის შვენებას ლაქვარდ ცით ამკობს;
 ბოსფორი წყნარი დუღუნითა მღერს ძილის-პირულს,
 სიო ჩურჩულებს... ვინ უწყის ვის, ან რას მოუთხრობს?..

მხოლოდ არ სძინავს ჰარამხანას ილდიზ-კიოსკის,
 სად მონად ქმნილი ტურფა ასულნი ცრემლებს ღვრიან...
 ერთი ეხვევა ფაღი-შაჰსა, ჰყვება ტკბილ კისკისს,
 სხვები უსიტყვოდ, მწუხარებით ჯერს მოელიან.

ჰოი, საბრალო, მონა ქალო! პირ-შებურვილო;
 როს გელირსება ნეტავ ტანჯვა არვის შესჩიო!
 შეჭხედო ყველას მზისა დარო, ვნებით აღვსილო,
 და თავისუფლად გულის ტოლი ამოირჩიო?!

ს. ერთაწმინდელი

გ უ ლ ი

გავცქერ მიდამოს საამოთ ნაქარგს,
 სულის საუფლოდ—მშვენიერს და კარგს.
 მაგრამ რას მარგებს—ვერ მიფონჯებს გულს,
 კაენით ნატანჯს—დაავადებულს...

ოხ, ბუნებაო, შენ აღამიანს—
 (მეფედ წოდებულს გონიერს, კკვიანს.)
 რად აღღვე გულსა?.. იცოცხლოს, იგრძნოს—
 გულის ნაცადმა სული უქეჯნოს?!

მ. ველისციხელი



კოტე მესხი (1859—1914)
 გარდაცვალებიდან ორი წლის შეს-
 რულების გამო.

* *

ხან მღვეი ვარ, ხან არწივი მთებისა,
 ხან ყაღაჩო მობიბინე ველისა,
 ხან სევდა ვარ, ხან ნაღველი გულისა,
 ხან მაზინჯი მონა სიყვარულისა.
 განთიადზე როცა გაირიჟრაეებს
 მზე მთიებში სხივებს ჩააქვარქვარებს,
 ერთამული ჩამომესმის ჩიტების,
 სალარო მაქვს ცარიელი ფიქრების;

მაშინ ჩიტი ოლოლი ვარ მთებისა,
 მოარწიყე მზის გავერცხლილ თმებისა,
 ყაყაჩო ვარ აყვავებულ ველისა
 და რითმები ვარდზე მგალობელისა.
 როცა დამე მაღალ მთის წვერს დაჩრდილაეს,
 ხალამურის ფერიები დაფრინავს,
 მთლათ სოფლიო კენესის, კენესის არ სძინავს
 და ტყეებში ქოტი ნაღვლურს დასტვინავს
 მაშინ შავი დემონი ვარ მთებისა,
 ხისწრაფე ვარ მთის არწივის ფრთებისა,
 მახვილი ვარ ჯოჯოხეთის ცეცხლისა,
 ელვარება მოქნეულის ცელისა.
 ხან მდევე ვარ, ხან არწივი მთებისა,
 ხან ყაყაჩო მობიბინე ველისა,
 ხან სევდა ვარ, ხან ნაღველი გულისა,
 ხან მახინჯი მონა სიყვარულისა.

ს. სოფლიშვილი

სატრფოს საფლავთან

ცის ნაალზე მძინარ მთვარეს
 რომ ეფარვის ღრუბლის რიდე,
 გთხოვ, ნიავო მაღალ მთისავ,
 დაუხიე, მოარიდე.
 წყვლიადია და ვერ ვხედავ
 სიდან მოგდევს ქვითინის ხმა;
 ჩურჩულით რომ ჩამოკენესი,
 ვისი გულის ვარდი გახმა?...
 აი, მთვარე თვალებს ახელს,
 რიდე სიოს თან მიჰყვება
 და მკრთალ შუქით დაფერილი
 არე-მარე ნათლად ჩნდება.
 და რას ვხედავ?!. სასაფლაო.
 ჩემ წინ ძველი აღმართულია,
 გარეშემო ყვავილებს
 ნახ ქსოვილით მოქარგულია.
 იქვე ძველთან აჩრდილი სჩანს,
 უსულო ქვას ემონება
 და მის თვალთგან მონაწყვეტი
 ცრემლი ყვავილს ეკონება...

შალვა მოლაშვილი



მ უ შ ა თ ა მ უ შ ა



† ზაქარია იოსების ძე ჩოდრიშვილი

უჩინარი, არა მყვირალა, მაგრამ მუშა-
 თა საქმის ნამდვილი მუშა,—აი ვინ იყო ზა-
 ქარია ჩოდრიშვილი.

გლეხის შვილი, სახელოსნო სკოლის მე-
 სამე კლასიდან გამოსული და რკინის გზის
 სახელოსნოში მომუშავე, ადრე დაუკვირდა
 თანამოძმეთა ღუბჭირ ცხოვრებას: განმანთა-
 ვისუფლებელი მოძრაობა ჯერ არც კი იყო
 მომწიფებული, რომ ზაქარია მთელი თავისი
 არსებით მუშათა საქმეში ჩაერთა და დიდი სამ-
 სახურიც გაუწია.

სამაგიეროდ კი დევნა, პატიმრობა, გა-
 კირვება და უალაგალაგოს სიკვდილი—აი მი-
 სი ხვედრი: 1901 წ. მეტეხის ციხეში ჩასვეს,
 მერე გადასახლეს, მანიფესტით განთავისუფ-
 ლებული სამშობლოში დაბრუნების შემდეგ
 გაორკეცებულის ძალღონით შეუდგა შეწყვე-
 ტილ მუშაობას, მაგრამ 1908 წ. ზაქარია და-
 იკირეს, 1909 წ. თბილისს მეტეხის ციხეში
 გადმოიყვანეს, 8 წ. კატორღა გადაუწყვიტეს
 პოლიტიკურ დანაშაულობაზე და 1911 წ.
 იაროსლავის საკატორღო ციხეში გადაიყვანეს,
 ხოლო 1915 წ. ნიკოლაევის ციხეში მოა-
 თავსეს, სადაც ამ ორმოცი დღის წინად, 2
 აპრილს, განუტევა მრავალ წამებული სული,
 იგი ჭეშმარიტი მუშათა მუშა იყო!..

იოსებ არიმათიელი

ვაჟა-ფშაველას კერძო დაუბეჭდავი წერილი

შაქ. ჭიჭინაძის მიმართ*)

(საბიოგრაფიო მასალა)

1888 წ. 20 სექტ.

ძმამო ზაქარიავ!

ვიდრე ჩემს აზრს მოგიუყვებოდე გული ან მითქმენს, რამ ერთი ქართული „გამარჯვება“ ან

*) ეს წერილი ვადმოგვცა პატრივცემულმა ზ. ჭიჭინაძემ. ვბეჭდავთ სრულიად უცვლელად. ვსთხოვთ ყველას, თუ ვისმეს მოეპოება ვაჟას ან სხვა ჩვენ მწერალთა წერილები, გამოგვიგზავნონ დასაბეჭდათ. ორიგინალს თუ ინებებენ, ან უკანვე ვაახლებთ, ანუ ქართ. საისტ. საეთნოგრ. საზ-ას გადავცემთ. რედ.

მოდლიაულ (გაგრძელება)
გზავში იბ. „თ. და ც.“ № 17

შაქ. თვითონ ქეთინო როგორ მოგეწონა?

ოქრო. სწორედ ტყის დედოფალი მეგონა, როდესაც დაინახე!

შაქ. (გაიხედავს) აგერ, მოდიან. მგონი კნ. თეკლეს მოსდევთ.

ოქრო. კნ. თეკლე? ეს კი ვერ მოგვივიდა კარგა, რომ ჩვენ აქ დავჩნით და ეგენი კი გარედ გამოვიხმეთ. (შემოაჯღაღინებს კნ. თეკლე, მაშო და ბაფოს ქეთინო)

II

ივანე, კნ. თეკლე, მაშო და ქეთინო.

კნ. თეკლე. ყმაწვილებს ვახლავარ!

ოქრო. (ხელზე ჭკოცნის) ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხეთ. ჩვენი მოვალეობა აგვეკრია, რომ თქვენ გამობძანდით ჩვენს სანახავად. უკაცრავად.

კნ. თეკლე. რასა ბრძანებთ! ბოდიშის მოსახდელი რა გაქვთ. დაბრძანდით (უგუჯანს სხდებიან)

ოქრო. (მაშას) როგორა ბძანდებით გუშინდელს აქეთ, კნიაჟნა?

მაშო. კარგა, გმადლობთ.

თეკ. კნენა მაკინე, როგორა ბრძანდებთ?

ოქრო. გმადლობთ. კარგად ვახლავთ. ცოტა დაიღალა გუშინდელ საღამოს შემდეგ.

კითხვა. ცივს ჩრდილოეთში ამ სიტუაციის გაგონება ზარ-დამცემია; „გამარჯვების“ გაგონება ელექტრონიკით ძარღვებში დაეივლის. ტანში ავანტიურებს და არა ისე უმეცემოდ და გარეთა-ლია როგორც თბილისში; მანდ ქართველები ისე უუბნებიათ ერთმანეთს „გამარჯვება“ თითქმის კითხვად: რა სჯამე დღეს—მანუხი თუ დღე? გამარჯვება ზაქარი!

— გაგიმარჯოსო—შენ შეუბნები. თაფლი შენს უნას, გამიცან. სწორედ რომ გავიმარჯვე. უნივერსიტეტში ლექციების სმენის ნება მომცეს. ვუზივარ ლექციებს და ვეზებარბ, ვიზებარბ თუ სუსასი ან შემომეღია, შეტი გამარჯვება ჯერჯერობით ანც მინდა. უნდა კითხვა, ტუტს-ღია სწორედ ამ ლექციების სწავლა: დალოცვილ პრინციპებს აღარ გაუშვია, თუ სადმე დან-

ამისთვის დღეს ველარ მოახერხა თქვენი ნახვა. ბოდიშს იხდის.

თეკ. გენაცვალეთ, რა საბოდიშოა? გონა არ ვიცით დაიღვებოდა გუშინდელ სტუმარიანობის გამო. (კრავსიანს აათამაშებს)

შაქ. ესეც ვერა ბედავდა თქვენს ნახვას, რადგან საღარბაზოდ ჯერ არ ყოფილა.

მაშო. მართალია, კნიაზო?

ოქრო. რასაკვირველია! საზოგადოების წესი და ზრდილობა მოითხოვს, კნიაჟნა, მაგრამ შაქროს ბრალია. ფრანკობ დღეს უღროო სტუმარი ვარ. თქვენ დასაც შევეუშალეთ ხელი. მგონი ჩვენზე გაჯავრებულია.

ქეთინო. სცდებით, კნიაზო! თქვენ სრულებითაც არ შეგიშლიათ ხელი ჩემთვის.

ოქრო. მე კი მგონია შეგიშალეთ. ჩვენ რომ მოვედით, თქვენ გატაცებით რაღაცას ხატავდით და ჩვენმა მოულოდნელმა მოსვლამ საქმეზე ხელი ავადღებინათ.

თეკ. გეთაყვათ და მერე რა დიდი საქმე მომხდარა, რომ ცოტა ხნით თავი დაუწუნებია ხატვისთვის. ადგილიდან ველარ დაფრავთ ხოლმე, როცა ხატვას დაიწყებს! შეტად გატაცებულია, ყმაწვილებო, ამ ხატვით! აღარც მიდის სადმე და არც ისვენებს. რა ვიცი, რით ვერ მობეზრდა ერთი და იგივე საქმე. არ უნდა მიიხედ-მოიხედოს მაინც თუ ქვეყანაზე რა ხდება?

გრეული სოფელი, ან გამსჭვანტლული ქვა გდებულა, სუფუფლას სახელი ლექციაში მოუჭრეოია, მაგრამ რას იზამ უნდა იხევიან, შეტნიერება. დასვენა, რომელიც გამოვიყვანე წუთიერა და ვიფრებადამ აქაურ ხალხზე და ცხოვრებაზე, შემდეგია: ხალხი ერთობ დუთის მოყვარე ყოფილა, რის გამოც ურთხვი სუფრება აშენებული; აქაურმა კლესმა, რომ დამე ფანჯარაში სანთელი დაინახას, მოახდის ქუდს და შირფვარს გადისახავს. ბევრი კიდევ სხვა რამეები მაქვს სათქმელი, მაგრამ შირში წვალი მიდგა და გქნა, რაგსთქვა!? მხოლოდ რაც მე დაეინახე აქ ის ფაქტები სულ სხვანაირ ჰრტვამას უწერენ აქაურ წინამორბედს ხალხს და არა იმას, რომელსაც ისენი მისდევენ. თუ ძმანარ წერილი მომწერე და მანდიური ამბები შემატყობინე, უკრიტიკოდ, გაუ-

კილაყად, ისე რომ ნათქამს კლანჭი არ გამოკიდებოდეს. კარგი იქნებოდა, რომ გროშესაც გამომიგზავნიდი. აქ ერთი მანეთი, თუმანი დირს; ჩემისთანა გაფხეკილი ვანისთვის კი ორამდეც მაღწევს. ლექციებისა უნდა შევიტანო ოცდასხუთი მანეთი და ერთი თვის საზღვდა დამჩება კოჭლად წავა საქმე თუ ცხოვრების წყარობი არ გამოვძებნე.

შენი ძმა ლუკა რაზიკაშვილი

ჩემი ადრესი: ВЪ С.-Петербургѣ. Казанская улица домъ № 31/7, кв. 37, П. II, Разикову.



ოქრო. სჩანს, ბატონო, თქვენი ქალი ხელოვნების მოყვარე ყოფილა და რა გასაკვირველია, რომ არ დანტერესდეს მჩქეფარე ცხოვრებით, რადგან მათი მისწრაფება უფრო ოცნების ტრფიალება იქნება. საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ განცალკევებულ ყოფნაში ადამიანი თავის თავს უკვირდება, უფრო ნათლად გრძნობს თავის მოთხოვნილებას, თავისივე რეფლექსიის წყალობით. ასეთი ადამიანი თავის სულის საიდუმლოებასთან უფრო დაახლოვებულია. არა კნიაუნავ? (დამიღიოთ შეხედავს ქეთთანს)

ქეთ. სრულ ქეშმარიტებას, ბრძანებთ, კნიაზო!

მაშო. რად მინდა, კნიაზო ოქრო, რომ სულის საიდუმლოებასთან დაახლოვებული ვიყო, და სხვისაზე კი წარმოდგენაც არ მქონდეს?

მაქ. ერთი მხრივ თქვენც მართალი ხართ, კნიაუნავ!

თექ. არა, გენაცვალეთ! ანიუებული არა ვარგარა! ყველაფერი ზომიერად უნდა იცოდეს ადამიანმა! როგორ მოსაწყენი არ არი სულ მუდამ უსარგებლო და მჩატე ფიქრები? განა არ დასუსტებს ადამიანის გონებას? სულ ხატვა, სულ ერთთვად წიგნების კითხვა გადირევა ადამიანი, მარა მოუვა?

ოქრო. ვისაც კი მდიდარი ფანტაზია

აქვს, ის უეჭველია წმინდა, ნაზი ბუნების შვილია. მასში ყოველივე გრძნობა, ტრფობა, სყვარული მეტად ძძლოვრი და ფართოა. ის ყოველთვის ბუნების მოტრფიალედ დარჩება. მას შეუძლიან შეისწავლოს მისი ენა, მას ესაუბროს და თავისი ფიქრებიც გაუზიაროს. მაგალითად მხატვრობა მეც ძალიან მოყვარს!

ქეთ. (თვალებს შეაშტერს ოქროს) განა მხატვრობა თქვენი გულის უსაქიროესი საგანია?

ოქრო ღიად, მე ვხატავდი წინად, ღლესაც თავს არ ვანებებ, თქვენზე მიხრეს, ძალიან უყვარს ხელოვნებაო. მინდოდა მენახეთ, გამეცანით, რადგან, ხომ მოგვხსენებათ, ერთის საგნისკენ მსრბოლი ორი გული, ერთის იდეით გამსჭვალული ადამიანები, რაც უნდა შორეულნი იყვნენ ერთმანეთისთვის უფრო მახლობელნი არიან, ვიდრე ერთი ღელ-მამის შვილნი. თქვენ გატაცებით გიყვართ მხატვრობა?

ქეთ. ღიად, მე გაგიყვებით მიყვარს მხატვრობა! ხატვა ჩემი მისწრაფებაა, მწყურთან მისი შემუშავება, მაგრამ საწუხაროდ, ჯერ ვერა სრულდება.

ოქრო. რატომ?

ქეთ. იმიტომ რომ... არა... შემდეგს ვერ გეტყვით.



ა. ტ. გოგა შვილი
სცენის მოყვარე, 9—10 სახალხო სცენაზე (განს. ნაძალადევი) მოღვაწეობს; უკანასკნელ სეზონში რეჟისორად იყო და დღეს მისივე რეჟის. წარ. იქნება „სამშობლო“



პეტროს ადამიანი
სომეხთა სახელგანთქმული მსახიობი, საუკეთესო განმასახიერებელთაგანი იყო ჰამლეტის, ფრანც შლორის და სხ. სთამაშობდა ფრანგულადაც. (გარდ 25 წ. შესრულების გამო).



რაფ. ჯიბლაძე (ჯიბილ)
გურულ სცენების ავტორ-მკითხველი და სცენის მოყვარე, სამხედრო სამსახურში გაწვეული, ამჟამად ბათუმშია და ადგილობრივ წარმოდგენებში დროგამოშვებით მონ. წილეობს.

ოქრო. თქვენ რ ნებაა... არ ჩავიცვდები.

მაშო. გეტყობათ, თქვენც ხელოვნება გყვარებიათ!

ოქრო. ძალიან! მაგაზე უკეთესი რა არის თქვენა?

მაშო. მე ხელოვნებას გაურბივარ, რადგან სინამდვილეს მინდა უფრო დაუახლოვდე. ხელოვნებას მისწრაფება, ფანტაზია და სხვა ყოველივე არეულია ერთმანეთში და გაუგებარი. წიგნებიდან თუ ამოვიკითხავთ, თორემ ისე ძნელია მათი გარჩევა და ამიტომაც შორს ვუვლი.

ოქრო. თქვენ? თქვენ როგორ მოგწონთ თქვენი დის აზრი?

ქეთ. მე სრულიად ვეწინააღმდეგები მის გამოთქმულ აზრს. სინამდვილე უხელოვნებოდ არ გამოდგება. ერთი მეორეს უკანა სდევს!

ოქრო. სრულ სიმართლესა ბრძანებთ, კნიაენა. (მაუზა) წიგნების კითხვა ხომ გიყვართ?

ქეთ. ოჰ, ძალიან! მაგრამ კარგ წიგნებს ძვირად ვშოულობ. უფრო მეტ დროს უბრალო მწერლებს ვანდომებ.

ოქრო. მე მოგართმევთ!

ქეთ. დიდად დამავალებთ.

ოქრო. ხომ იცნობთ რუსეთის მწერლებს! ტურგენევის, ტოლსტოის, გოგოლს, პუშკინს?

ქეთ. ჩემდა სამწუხაროდ, ყველას არა.

მაგალითად დოსტოევსკის ძალიან მცირედ, მარტო სამი, ოთხი ნაწერით. ამის გარდა მსურდა გამეცნო აგრეთვე უცხოეთის მწერლები.

ოქრო. მაგალითად?

ქეთ. დანუნციო, მეტერლინიკი, ჰაუპტმანი და სხვა... დანუნციოს რომანმა „საკვდილის ტრიუმფი“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ძალიან მინდა მისი სხვა ნაწერებიც გადავიკითხო!

ოქრო. ამ დღეებში გამოგიგზავნით მაგ მწერლებსაც.

ქეთ. გმადლობთ.

შაკ. ოქრო! შენ ეხლა გაერთობი ბაასით ლიტერატურაზე და ჩვენ კი არა გვცალიან, ნუ დაგავიწყდება რისთვისაც მოველით. (მაშას) კნიაენა, მაშო! როგორა ხართ პირობაზე? ხომ აპირებთ სასეირნოდ წამობრძანებას?

მაშ. რასაკვირველია წამოვალ. მე მზადა ვარ! თქვენ სხვებს დაურბინეთ, რომ უარი არა სთქვან.

თეკ. აბა, თქვენგან არ მიკვირს, ყმაწვილებო, უამისოდ რა იქნება?

მაშო. მაშ უსათუოდ წავალთ, არა?

ოქრო. უსათუოდ, უსათუოდ! (ქეთთანს) თქვენ კი არ აპირებთ წამობრძანებას?

ქეთ. არა.

პ რ ა ნ კ ი ე ბ ი

თქვენ, ქალნო, ქალნო! „განათლებულ-
ნო“ და გათხოვილნო, ზეცათ მფრინავნო!
ვინა ზძანდებით, არ იცით განა?!. საკვირვე-
ლია! ვფიცავ მე ღმერთსა!.. ყური მომივდეთ
რას გეტყვით დღესა.

თქვენი სახელი მხოლოდ „პრანკია“, მხო-
ლოდ „პრანკია“, —სხვას ვერას გაკადრებთ.
არა, არ გჯერათ?!

ახ! ღმერთო, ღმერთო, რა გვეშველე-
ბა!.. აბა იფიქრეთ, ითვალისწინეთ, მიაპყართ
თვალი თქენს სხეულსა და ნუ თუ მაშინც
არ დარწმუნდებით?!

კიდევ არ გჯერათ?! არა და არა?!. სა-
კვირველია თქვენ გამარჯვებას!..

ოქრო. რატომ?

თექლე. ეგ განა თავს დაანებებს თავის
მშველს, თუ სულ უკან არა სდია? რა გასე-
ირნება-ღა უნდა. თავის მშველით მთელ მთა
და ბარს შემოუვლიან.

ოქრო. რასა ბრძანებთ? განა ის მშველი
ამათია? წარმოიდგინეთ, მე და შაქრო რომ
შემოვედით ბაღში, პატარა მშველი დავინახე
და კინალამ ჭავგიჯდი მის სილამაზით, მეტად
კობტაა, მომხიბლავი კიდევაც იმიტომ არა
სურს ჩვენთან წამოსვლა კნიაუნას, რომ ასე-
თი მეგობარი ჰყოლია, რა ჰქვიან სახელად?

ქეთ. ჯერო!

ოქრო. რა საუცხოვრია! სახელიც რომ
შესაფერი ამოგიჩვენიათ. (უღბად) წარმო-
იდგინეთ, რა აზრი მომივიდა. დიდად მო-
ხარული ვიქნებოდი, რომ დამეხატნა თქვენი
ჯერო. ნებას მომცემთ?

ქეთ. ჯერო თქვენთან ვერ წამოვა. თუნდ
წამოვიდეს, არ გამოუშვებ, ვერ წარმომიდ-
გენია, ერთს წამსაც კი უჯეროდ ყოფნა. მა-
პატიეთ.

ოქრო. მაშ ნება მიბოძეთ, თუ შეიძლე-
ბა, მე ვიარო ხოლმე თქვენსა ვიდრე ხატვას
გავათავებდე, მგონი ამითი თქვენ არაფერი
დაგიშავოთ!

ქეთ. დიდი სიამოვნებით. შეგიძლიანთ.

ოქრო. (მხურვაჯედ) გმადლობთ!

ბევრი თქვენგანი კეთილნი არიან, ჩამო-
მავლობით კარგის მშობლებით, ავ-ქალობა-
საც თქვენ არ ჩაიდენთ: ქმარს არ ღალატობთ,
გიყვართ კიდევაც, სიყვარულითვე შეგიერთავთ
იგი, —მაგრამ მაინცა „პრანკიები“ ხართ.

ქმართან ჩაჩული და აჩაჩული, დახვალ
ზღაზღინითა, უსიცოცხლოთა, ხშირად ამოქნა-
რებ, ძილი არ გყოფნის, სადილს ძლივს ატან,
მთლად მოიშლები. მხოლოდ საღამოს ფერი
გეცვლებს, თითქოს სიცოცხლეც ზედ გემა-
ტება: შვიდი საათი ხომ უკვე არის, დროა
თეატრში შენი წასვლისა. ოხ, ჩემო, ჩემო,
კარგო „პრანკიავ“, ორი საათი გინდა „რე-
მონტი“. უმალ პირს იბან, თმებსაც დაიხვევ-
თხელია იგი? რა უშავს განა! აქვე ახლოს

შაქ. ეხლა კი წავიდეთ, ოქრო! მოსამ-
ზადებლები ვართ!

თექ. რა გეჩქარებათ, ყმაწვილებო?

ოქრო. უკაცრავად. საქმე გვაქვს და მეტ
ხანს ველარ დავრჩებით!

მაშო. რა იყო ასე ჩქარა? რა მოჩვენე-
ბანი იყავით.

ოქრო. მშვიდობით! (გამოეთხოვებიან უგა-
ლას)

თექ. შემოიარეთ ხოლმე. არ დაგვივიწ-
ყოთ.

ოქრო. (ქეთინოს) ნახვამდის, კნიაუნავ!
(ოქრო და შაქრო გადის. მაშო გააღიქვს)

თექ. (თავისათვის) რა ჩინებული ადამი-
ანია! ახ, სად ხარ ეხლა, შე საწყალო ეფე-
მიავ, რომ არ დაჰხარი შენს ოქროს? ვი ჩვე-
ნი ბრალი!

III

თექლე, მაშო და ქეთინო.

მაშ. (დაბრუნდა) ოხ, დედავ! (გადახვე-
ვა) რა მშენიერი, რა გონიერი და ქვიანია
ოქრო! სახელიც ზედ გამოჰკრილია! ნამდვი-
ლი ოქროა!

ქეთ. (ისევე დაიწუებს ხატვას)

თექ. შვილო განა მოვესწრობი იმ დღეს,
რომ ის შენი გახდეს!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაქვს შენ ბალონები, ცხენის ძუითა, ან სხვა რისიმე ბალონით აღვსილნი. იქ ამოიღებ, აქ ამოიღებ. ნახეთ, ნახეთ, თვალთა მხილავნო, თმები გამოჩნდა გაბუებული, ლამაზად კოხტალ შეკუმშულები, ზედვე ბადე აქვსთ მათ გადაკრული ცხენის ძუ-სგან წმინდათ დაწნული.

ბუნებითა ხარ შენ შავგვრემანი, შავ თვალ-წარბა და მიმზიდველი, მხოლოდ ყველა ეს შენთვის არ კმარა. არა და არა?! დიახ, რომ არა!.. საჭირო არის თეთრი ლოყები და უმაღლესი ბათქაშის წასმას და ამით უკვე თავი მზად არის.

ხშირად უფრო კი ესეც არ კმარა: თავს წაიღებ ყვავის ბუდესა, სხვის თმებისაგან შეწულ-შებლართულს, მაგრამ რა გიყო, ჩემო „პრანქიავ“, ყველასთვისა სჩანს ეს ყვავის ბუდე, სხვის თმებს მაინცა შენ ვერ დაჰფარავ...

ზიხარ სარკესთან ყელ-მოღვრებით, ქვევით შიშველი, ამას რა უშავს! ჯერ თავსა უნდა სარკეში ცქერა...

— ოხ, ღმერთო ჩემო, ძლივს მოვრჩი ამ თავს... ახლა საცვალის, მის დაღუბება, შემღვრელი ფეხები, აბა გვრიტებო, რომელი სჯობხართ? ეს?... არა, სქელია. ეს?... ჰო, სწორედ ეს.

ლეჩაქებური ეხლა მოდაა, მითომ ღლიფია, მითომა ჰფარავს... ზევით მოიცვამ თხელს რალაც ნაჭერს, ბუმბულისაებრ ჰაერში ჰფრინავს, ეს „რუბაშკა“, მეტად ფერადი, შორს გამჭერტელი. ზევით გათავდა, ახლა კორსეთი. ხომ კარგათ ვაღდათ? წინ შეგარდნილი, უკან წყული, ქვეით მუხლამდის, მალლა მუცლამდის, ხომ გიჭერთ მაგრა? ოხ, რა კარგია!..

— ოხ, ღმერთო ჩემო, ესეც მზად არის, კორსეთი უკვე შემოვიჭირე... აბა, ჩულქებო, თქვენც მასხებლეთ, კანის ფერი ხართ, არ უნდა სჩანდეთ, თქვენ შორის ჩემი ხორცი უნდა სჩანდეს. სწორედ ასეა, დიახ ასეა. მაშ რად მივეცი წყვილში თუმანი, თუ კი ვერ ვიგრძნობ სიამოვნებას?

მაიცა სარკე ჯერ მე ძირს დავდგა, ისე შევხედო შორიანლოდამ... ოხ, ღმერთო ჩემო, სწორედ ასეა, თითქოს რომ მართო სხეული მიჩანს!..

ახ, მოდავ, მოდავ! ვინ მოვიგონა! რას ამახინჯებ ამ უბედურებს, ბუნებით ნაზებს, ბუნებით კარგებს, რაზე უძეკამ ვენერისაებრ ნათალს თეძოებს?..

რა დროს ბუნება, რა დროს ვენერა, ეს სულ მეტია შენთვის, პრანქიავ!..

— ოხ, ბაშმაკებო, როგორ მიყვარხართ, ამ სიძვირეში თქვენში სამს თუმანს რად დავიზოვამ?! ნახეთ ფეხები როგორ მიდგინა? ქუსლები ზევით, თათები ქვევით.

ნუ თუ, პრანქიავ, სულ ეს კარგია?! ფეხყირამალა შენ რომ დასდინხარ, ქუსლები გაკრავს სამი გოჯია, შინ რომ მოსდინხარ ხომ ხარ თოჯია?! მშვენიერს შენს ფეხს ეს რა მოსვლია, თუ თები თითზე გადაკლიტულან და ერთმანეთსა მხარად ჩაჰკვირან. ვიწროდ ამოჭრილს ტუფლებისგანა ხორციც ჩაჭკირია, აგსიებია. იქით მაზოლი, აქეუ მაზოლი, ვაი შენს მნახავს, ჩემო პრანქიავ!.. რაო? აბა ვინ გნახა? ვის უნახვიხარ?! ბევრსა გენაცვა, ბევრსა „პრაქინკო“, ყველა შენ გიცნობს, დიდი პატარა. შენგნით გრეხილი თითები, შენგნით ქცეული მახინჯად სხეული მთელი აგებით — შესწავლილი აქვსთ მხატვრებს, პროფესორ — მეცნიერებსა: შეგნით და გარედ ჰხატავენ შენსვე ეშმაკურ ჩაცმას...

რაო, რა სთქვი? ხერხემალი გტეხს?! და აქეთ-იქით პატარა მუცელთან მუდამ რალაც გტეხს, ვერ გაგიგია?!..

ხომ სიცილადაც არც კი გეყოფა, რომ გითხრა ყველა ეს სწეულება, ჩემო „პრანქიკო“, მით გემართება ფეხთყირამალა შენ რომ დასდინხარ!.. არა, არ გჯერა? დიახ, მანქიავ, სწორედ ასეა. ფეხბრუდეთ დადგმა, კორსეტის ტარება მუცელში სცვლიან ქალთა აგებას, მუდამ წამლობა, მუდამ წუწუნნი, ხან ერთ ეკიმთან, ხან მეორესთან, თავის ტკივილი, სისხლნაკლებობა, ხან ამას აწერთ, ხან იმ ვაებას, — თურმე კი ქუსლსა, ყირამალა მდგომს, და მით ხერხემალს შეგნით მრუდესა, მაგრად მოქერილს, მოქინშულოს კორსეტს, ყველა ეს დაგვა შენთვის უძღვნიან!.. კიდევ არ გჯერა?! დიახ, ნუ გჯერა, ჩემო პრანქიავ, ეს ასე არის, ვფიცავ შენს მზესა...

— ოხ, აბა ღმერთო, ესეც მზად არის, გდ-

წრო ტუფლებიც ძლივს შევიქარი... აბა, იუბ-
კავ, შენც მასხელე, უკანასკნელი მოღისა
რომ ხარ, ნახი ნარნარი მოლალ გამქვრტე-
ლი, ორი ამორკა ქვევიდან რომ გაქვს, ქვე-
ვითა ვიწრო, ზევით ფრიალა, ტანზე დამადეკ,
შემამეტკუსე, შუა კანქს ქვევით აღარ წახ-
ვიდე. ეხლა მოდაა, ვით გოგოშეკბა, ჩვენც
მოკლე გვეცვას; ფეხის აკრეფით დავცქრია-
ლებდეთ, მოკლე ნაბიჯით დავკვიკვივებდეთ,
და ტანგრეხითა დავცანცალეხდეთ.

(დანარჩენი მერე).

ილია

ოპერა „ტრაგიატა“ ქართულ სცენაზე

გულაჯ დიდი სიხარულით ვეკებებით სახალ-
ხო მუსიკალურ საზოგადოების თათნობას, რა-
შეღმაღნ მასის პირველად წარმოდგინა ჩვენს
სცენაზე ჯ. გერდის ოპერა „ტრაგიატა“. „ტრა-
გიატა“ იმ მუსიკალურ ნაწარმოებს ეკუთვნის,
რომელიც მხოლოდ გარკვეული ბრწყინვალეობით და
ეფექტებით არის შემოსილი და რომელშიაც მხო-
ლოდ ადგილ-ადგილ არის გაბნეული მშვენიერი
მელოდიები, მთლიანად კი თვით პარტიტურა
სუსტია და უაღბ სტრუქტურაზე ატეხული „ტრა-
გიატა“ ეს ის ოპერაა, რომელიც მთელი მსო-
ფლიო თეატრალური სფერო შემოიანა. გერდის
არც ერთი ოპერა არა ყოფილა ევროპიულ სცე-
ნაზე იმდენჯერ წარმოდგენილი, რამდენჯერაც
„ტრაგიატა“. რა არის მიზეზი?

როგორც აღნიშნეთ, მუსიკალური ნა-
წარმოები სახარბიულოს არას წარმოადგენს.
მისი ასეთი ფურცლი კი ჯერ ერთი იმით
აიხსნება, რომ ოპერა სუბუქია და ფართო
მასსისთვის ადვილი გასაკგები, მეორე მხრით —
ოპერაში არის მშვენიერი უმთავრესი პარტია
ფილეტა ვალერი (სიუჟეტი, „მარკანტა გო-
ტიელდა“ არის აღებული), რომელშიაც მსახიობ-
მომღერალქალს შეუძლიან დიდი მუსიკალური
განვითარება და ნიჭი გამოიჩინონ და მათურებუ-
ლი მიხიბდონ. თითქმის მთელი ოპერა ამ პარ-
ტიაზეა დამყარებული. ჩვენი სცენისათვისაც ეს
ოპერა ადვილი გასაკგები იქნება და ფრიალ სა-
სიამოვნო მისი დადგმა.

საერთოდ უცხო კომპოზიტორთა შორის,
ეჭვი არ არის, ჩვენი ხალხის სულს ისევე თუ
ვერდი მიუღებდა; ისევე იტალიელი და ქართველი
აღამიანის მგზნებარე ცეცხლი უფრო მალე შე-
ეკუებას ერთმანეთს, ვიდრე სხვა რომელიმე
უცხო ტოში. უკვე ორი ოპერა დაიდგა სახელ-
განთქმულ კომპოზიტორისა „რიგოლეტო“ და
„ტრაგიატა“. ამაში დიდი შრომა მიუძღვის მათს
გადმომთარგმნელს კ. დოდაშვილს. „ტრაგიატასა
თარგმანი შედარებით რიგოლეტოსა თარგმან-
თან მოისუსტებს. „რიგოლეტო“ ბევრად უკეთე-
სად ეთვისება ქართულ მარცვალთ ბგერას, ვიდ-
რე „ტრაგიატა“, თუმცა შიგა და შიგ მშვენიერ-
ად არის შეწყობილი ზოგიერთი რეპიტატივე-
ბი და არიები. სასურველია ბ-ნმა დოდაშვილმა
გერდის სხვა ნაწარმოებზე გადმომთარგმნოს და
აგრეთვე იმ გვარი ოპერებზეც, რომელნიც ინ-
ტერნაციონალური ხასიათისანი არიან.

ოპერა პირნათლად შესარულეს უფელმა მო-
ქმედმა პირმა. განსაკუთრებით უურადღების
ღირსნი არიან ქნი კალანდაქე (ფილეტა) და
ბ-ნი ცხომელიძე (ჟოჯო ჟერმანი). ქნი კალან-
დაქე გაცილებით უკეთესად მღეროდა ფილეტას
პარტიას, ვიდრე ჟილდას რიგოლეტოშია. ჩვენ
არ მთავრადიან მომღერალ ქალისაგან რომ ვი-
ოლეტას უფელ ძნელ ხასსაჟებს გაუმკლავდებო-
და, საშუალო რეგისტრში მისი კოლფორტურა
მშვენიერად რაკაკებდა. და სასიამოვნო ტემპ-
რის ხმა, ალაგ-ალაგ ტკბილ მოღუდაციებს
იღებდა. უძნელდებოდა მხოლოდ მაღალი რეგი-
სტრების ალება და ეს არც ისე გასაკვირველია.
ამ პარტიის მაღალი და ძნელი ტესიტურას შეს-
რულება თვით სახელგანთქმულ მომღერლებსაც
კი უძნელდებათ. განსაკუთრებით კარგი იყო უკა-
ნასკნელ მოქმედებაში. მოგვეწონა აგრეთვე ბ-ნი
ცხომელიძე. კარგი იყო როგორც სასცენო ისე
ფოკალური მხრითაცა. მისი კუმში ბარტონი
ფართოდ იშლებოდა. მსახიობს კარგი დიქცია
აქვს. უფელი სიტუვა გვესმოდა და თარგმანის
აგ-კარგაინობს ნათლად ვსვლავდით. ბ-ნ კურბა-
ტოვს (აღფრედი) ისე აღარ ეტეობოდა რუსული
აქცენტი. ხსლბ, შედარებით, გამოთქმა კარგი
აქვს და კარგადაც მღეროდა თავის პარტიას. ეს
კია რომ მომღერალი მეტად უხერხულად გრძობ-
და თავს სცენაზე.

საერთოდ ოპერა კარგა იქმნა შესრულებული. პირველი ნაბიჯი და საქმის სეინიდიანიერი შესრულება ჩვენ გამარჯვებულ მიგვაჩნია. ვუსურვებთ საქმის დამწეობა, მომავალში მათმა შრომამ შეტი ნაყოფი გამოიღოს და მკვიდრი მშობლიური ნიღაღი და საძირკველი ჩაყაროს. საზოგადოება ბლამად დაესწრო მხალღ თეატრი კი საყსე არ იყო, ქანდაკსე ცოტანი იყვნენ. ეს დამატკიცებელია იმისი, რომ ჩვენი მდამიო ხაჯნი ჯერ სრულიად მოუმიფიფებელია ოპერისთვის. მხალღ ჩვენი ინტელიგენცია რომ არსიდა სხანდა — ეს კი ცხვირის აწევაა. თუ მიფეზად მას დაგვისახლებენ, რომ რუსულ სტენახე ეს ოპერა რამდენჯერმე უნახავთ საუკეთესო ძალების მიერ შესრულებული და პირველად წარმოდგენილი ქართულად „ტრავიატა“ ვერ დაკამყოფილებდა — ძალიან შემდღარნი იქნებიან. შერე ჩვენ კი დაგვაკამყოფილებდა პირველი ცდა, თუ სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გავტარებდით? იქნება ჩვენ უფრო შეტი მოთხონილებიისა ვიყვნეთ. ჩვენც გვინახავს შალიაპინი, სობინოვი, განბანდტი, ღიმპოვსკიაი და მრავალი სხვა გამოჩენილი მომღერალი, მაგრამ კი მოუთმინლად გელღდით ფარდის აწევა! კარგად ვიცღდით დიდ რამეს არს მივიღებდით, მაგრამ ჩვენ გვაფრთხევანება ინტერესი, ინტერესი ახალი საქმის დაწეებისა და მისი ჯაფართობისა. აი რომ მიგვიყუანს ნ მისის სახალხო თეატრში და მოგვასმენინა ოპერა „ტრავიატა“. აქ ბუფრი ნაღლი შენაშნეთ, რომელიც შეიძლება მომავალში თავიდან ავიშორეთ, მაგრამ აქვე მოუღღღელი ღირსებაც ვნახეთ და ეს განთიადის დასაწვისა, რომლის შემდეგ მზის აღმოსვლასაც უნდა მალე მოველოდდეთ!

მ ვ არ რ ი კ ი

თელავის სტენის მოსწობა

თეატრი, აუღიტორია ან ისეთი ფართო შენობა, სადაც შეიძლება იყო წარმოდგენების, ღექციების ან კრებების გამართვა თელავში სრულებით არ მოიხლოება და ყველას მაკეთრობის აქამდე ასრულებდა საზოგადო საკრებულღ. მართალია წარმოდგენების მართვის აქ დიდი დაბრკოლება ქსეღებღა ბ. ნო მამასახლისების მხრივ, მაგრამ ასე თუ ისე, ისეც ეს დაწესებულება

უღებღა კარებს. ეს იყო ერთად ერთი შენობა, სადაც შეიძლება გასართობ საღამოების მოწეობა; რაც შეეხება კრებებს, იგი ხომ წინდაწინვე საზოგადო საკრებულღში ინიშნებღა და ვეღლასათვის დიხ იყო მისი კარები.

დიად, საკრებულღს სამსახური უმოფრენად გამოიხატებღა წარმოდგენების მხრივ, მის ფართო დაბახში მოწეობილი იყო სტენა და თუ ეს არა, მოქალაქენი მის ღღეში თელავში წარმოდგენებს ვერ იხილავღენენ.

ახლა კი, ვეღლას ამას უნდა გამოეთხოვოს თელავის შემნ-გამს. ამხანაგობის წეღლობით, რომელმაც ეს შენობა საკუთრებად შეიძინა და მოისურვა შეტველათ მდღღა სართულში მოთავსებულყო.

რასაკვირველია სრულიათ სამჯობინარო იყო ამხანაგობის ღაბღა სართულში დაბინავება; სამყოფიციხა ქვეითა სართული და ნეფთიერღაც ხელსაყრელი, რადგანაც მდღღა მეტ ქირას იღღევა და შენობაც უკეთ შეინახებღა, მაგრამ რაკი ერთხელ მოისურვა და გაღასწევიტა გამტეობამ ღრი ხმით, წინაღმღღებ ერთისა, ეღღა საბჭო. შიაც გაუუანა და კრებამაც დაღდასტურა ეს, თუმიცა როგორც საბჭოში, ისე კრებასეღაც ბუფრი იყენენ წინაღმღღენი და დიდი აურზაურიც გამოიწეა.

ამნაირად საკითხი გაღასწეღა და მხანაგობა ამ სართულში მოთავსღა, საღაც წინედ საკრებულღს დაბახი იყო.

მართალია ამს. გამტეობის თავმჯღღღემოქსაჯაროთ კრებასე გამოაცხადა, რომ საქვეღღემოქმღღო საღამოებს კვღავაც დაუთმობს დაბახს, მაგრამ ეს მათთვის საძეღღა: უოველოვის მატიღების, შკაფების და საქშეების გაღატანა ახლა კიღვე მოაჯიროთაც ხომ უნდა გაიფოს დაბახი და შარტო საღამოთი დათმობაც გამმართვეღღათვის მოუხერხებელია, რადგანაც დაბახის მოწეობას ვეღარ მოასწორობენ.

წარმოდგენების ღროს ერთი კვირით მინც რეპეტიციეი სწარმოებღა ხოღღე სტენახე და ამის შემდეგ პიესების დაღღმა ხომ შეუძლებელია; საზოგადო კრებებისათვისაც სრულიად დაბიშო მისი კარები და ამნაირად ამ საზოგადო დაწესებულებამ ე. ი. ამს — ბის გამტეობამ არავითარი ანგარიში არ გაუწია საზოგადოებრივ აზრს, არც საქვეღღემოქმღღო დაწესებულებებს და თავის შემდღღარს და, შეიძლება, ცალ მხრივ შეხეღღღებას ვეღღაფერი ახიღღღა...

დავიწეებულღ

ქართული მუსიკა

(სიმღერა-გალობა)

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 16)

ჩვენი მუსიკის საქმეში პრესასაც მიუძღვის დანაშაულობა. არა ერთხელ ყოფილა, რომ ქართულ სიმღერა-გალობასთან ახლო მდგომ პირებს, ან ძველ გალობის მკოდნეებს ქართული მუსიკის შესახებ წერილები მიუტანიათ ჩვენებურ რედაქციებში, რომელთაც სრულიად უმიზეზოდ არ დაუბეჭდიათ.

ხშირად ესეც ყოფილა, რომ იმავე რედაქციებს იმისთანა პირებისათვის გამოუცხობინებიათ წერილები და კრიტიკული განხილვანი მუსიკაზე, რომელთაც არც კი იციან — მუსიკა „ხელოვნება, თუ სხვა რამი?“

ამ უცოდინარობას თვით წერილების ავტორნი გადმოგვცემენ ასე: „თუმცა ჩვენ ამ საქმეში სპეციალისტნი (ე. ი. მუსიკის მკოდნენი) არა ვართ, მაგრამ ჩინებულად ვითარდება ქართული მუსიკაო!“

ქართულ მუსიკის ყალბ კირისუფალთა, სუსტ დამფასებელ-კრიტიკოსთა არსებობა ნათელ ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ჩვენი მუსიკა ყალბსავე განვითარების გზას ადგია, ვერ ატარებს თავის განვითარებაში მშობლიურ ნაპერწყალს, ბუნებრივ კენესა-ვაება-ნეტარებას.

ეს გარემოება-კი საკმარისად ჰმოწმობს, რომ ჩვენში ამ ხელოვნების დარგი აბუჩად არის აგებული, უყურადღებოდ მიტოვებული.

ჩვენს ახალგაზღვრებზე ხომ მეტია ლაპარაკი; მას ქართულ სიმღერა-გალობის შესწავლისა და შეთვისების არავითარი ხალისი და პატივისცემა არა აქვს. უმრავლესობას ქართულ სიმღერა-გალობის გემოვნება შერყვნილი აქვს. იშვიათად შეხვდებით ქართველ ახალგაზდას ქართულად მომღერალს, ან მგალობელს. მას უფრო აინტერესებს ოპერებისაირი სიმღერები, რომანსები, ვიტარა, მანდალინები, ვიდრე მშობლიური მუსიკა.

ჩვენში ათას ახალგაზდაში ერთი თუ გამოერევა, რომ ამ დარგის პატივის მცემელი იყვეს, როდესაც სხვა ქვეყნებში მთელი ახალგაზღვრება და მოხუცებულებიც კი გატაცებულ-

ნი არიან და ვალდებულნიც ემსახურონ ამ კეთილშობილურ საქმეს.

ვერ წარმომიდგენია აგრეთვე, რა გასავალი უნდა ჰქონდეს ჩვენში ნაადრევ ქართულ ოპერებსაც, როდესაც ჩვენ ჯერ მოუმზადებელნი ვართ?! როგორ უნდა დავაფასოთ ეს რთული ნაწარმოები, როდესაც არა გვაქვს მოსმენილი მეთათასედი ნაწილი, ჯერ შეუჯერებელ, გადაუღებელ და გაუვრცელებელ ჩვენს ხალხსა და საზოგადოებაში მრავალფეროვანი სიმღერა-საგალობლებისა, რომ ვიცნოთ იმ ოპერებში მშობლიურ მუსიკის ჰანგები და ესთქვათ: „ჰო, ეს ქართული ოპერა არის, ქართულ ჰანგებიდამ აღებულია!..“

ეს ოპერებიც, ვიდრე ს. ხალხი სიმღერა-საგალობლების საქმე არ იქნება წესიერად დაყენებული და, რაც შეიძლება, უცვლელად გავრცელებული, რომ ჩვენმა გემო-გადაჩეულმა საზოგადოებამ შეითვისოს და შეიტკბოს მშობლიურ ჰანგების გემოვნება — სული, — არ არის დასაჯერებელი, რომ ეს ოპერები სავსებით იყოს შეზავებულ-შექმნილი მშობლიურ კილოებით: და აკი ამიტომაც მათ მიერ დამუშავებულ სიმღერა-საგალობლებს ევროპიულ-რუსული გავლენის დადი აზის და ქართულ ნიშანწყალი ნაკლებათ ეტყობათ.

აი მაგალითიც:

ამ რამოდენიმე ხნის წინად თბილისში ქართულ კონცერტებზე ერთ არაგვისპირელ კეთილშობილ პირს, რომელიც დიდი მოტრფიალთა ამ საქმისა, ზედმიწევნით მკოდნე ძველ ქართულ სიმღერებისა და სუკეთესო მომღერალი, მოუსმენია ერთ-ერთ ჩვენ კომპოზიტორის მიერ დამუშავებული „სუფრუჯი“, (ეს სუფრული შესანიშნავი სიმღერაა, რომელსაც გლეხები ასრულებენ ჩინებულად არაგვისპირში). უკვირდა ამ ადამიანს და გულნატკენი იძახდა (როდესაც ამავე დროს ჩვენი მოწინავე საზოგადოება აღტაცებით ისმენდა ამ შეცვლილ სიმღერას):

— „ამას ჰქვიან განვითარება ჩვენი მუსიკისა?!. „თუ ყველა ქართული სიმღერები ესეა დამუშავებული და შემდეგშიაც ასე დაამუშავებენ, რაღა გვინდა? „აგვიშენდა ოჯახი“-ო?!.“

— „თუ არ ვაგვიგონიათ, ბატონებო, აი ეს გახლავთ განვითარება, ესეა „მუსიკის კონონები“; თუ გნებავთ მისმინეთ, თუ არა და — რა არის, რა ვაგინდათ ის ძველი, უწინა, ტეტრიური სიმღერები და ღიაკნური ულაზათო გალობაო, უნდა ახალი რამ შევიტანოთ ამ ღარგში, აუცილებლივ საჭიროა ევროპიულ გემოვნებაზე გარდაქმნა ჩვენი სიმღერა-გალობისა, ამნაირი მოთხოვნებილია; ჩვენი ხალხი, საზოგადოება განათლებისაკენ მიისწრაფის ჩქარის ნაბიჯით, ეს საქმეც არ უნდა ჩამორჩეს, თორემ ჩვენი მუსიკა სულ მოისპობა — მიუხედავად პირში იმ დარბაისელ არაგვისპირელი-სათვის თურმე გვერდით მჯდომ ვიღაცას

მიხელ კავსაძე



ალ. იმედაშვილის ჰამლეტი სასაღსო სასწაში, თრშაბათს, 2 მაისს, ზოგოერთებს, ეგრედწოდებულ „დამთესებლებს“, არ მოეწონათ და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ბევრა მათგანი შეჭნდია ლაღო მესხიშვილის ჰამლეტს და მეორეც იმიტომ, რომ ალ. იმედაშვილმა ჰამლეტის გაშიროვნებაში დიდი თავისებურება გამოიჩინა, თავისებურად წარმოგვიდგინა, რაგორც გარკვეულად ისე შინაგანად: სხვათა ჰამლეტით თუ თითქო არა მიწიერია, რაღაც მისტიურ-საოცნებო ხატება, ალ. იმედაშვილის ჰამლეტი ნამდვილი სოცრ-შესხმული შინაგნება... ნაკლი აქვს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მისხიობს არ ემუშავნოს და ახალს არას გვაძლევდეს. ჩვენის აზრით, შეუფერებელია ჰამლეტის თითქმის რბ-შეშინება, — იგი ხომ ყოველ მხრივ რჩეულია: არისტოკრატიზმი, ტანის წვრთნილი მოძრაობა, ხმის სიფაფუკე, სულის სინაზე და სხ. მისი ნიშნობლივი თვისებაა. მისხიობს კიდევ დიდი მუშაობა დასჭირდება ჰამლეტის საგნებით განსახიერებლად, ხოლო იგი რომ დაკვირვებული მსახიობისა და შექსშირის მინაბიტი — უკვე დაგვმტკიან. მაგრამ ეს არა უმანა, — საჭიროა შემ-

დეგი ნაბიჯი: იულოოს კეისარი, მაკბეტი... აი, რას ვეღით მისვან.

საუტსოგო იყო ტასო აბაშიძე (ოფე-ლია)... გ. გედევანოვი (შოლონოუსი) და გ. გუნია (შირველი მესაფლავე) დირსეულად ასრულებდენ ნაჲისრ რალებს. აღსანიშნავია აგრედვე სხაღვაზდა მსახიობთა მ. საჩაუდის, ზ. გომედაუკის (გიღღეშტერნ და რაზენკანტე), ნ. გვარამის (შირველი აქტიორი) და ზ. კარი-შელის (ლაერტი) დაკვირვებელი თამაში. ტან-საკუთრებით მოკვეწიანა შ. ხონელი, აი, ვის დაემუშავებინა რაღი. მაგრამ ტოტა გაღამაშუ-ბა კი ეჩნეოდა.

წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაქსრ. წინა-ძღვარი

ახალ კლუბში ქართ. მსახიობნი ყოველ სუთშაბათობით ქართულ კომედიო-გოდველებს სდგავენ. საზოგადოება მუდამ აუარებელი ესწრება. საჭიროა უფრო სერიაზიული ჰიესები და-სდგან ხალხე.

ს. დგაბაშვილი (გურია) კვირას, 17/IV, ადგი-ლობრივმა სცენის მოყვარებებმა ამავე სოფლის სამინის-ტრო სკოლის დარბაზში დასდგეს „მეორე კენი“, ღ. მ მოქ. „ბაიყუში“, კომ. 2 მოქ. დრამამ ვერ დასტო-ვა კარგი შთაბეჭდილება: თითქმის არც ერთმა მონა-წილეთაგანმა როლი არ იცოდა, ყველა სუფულ-ორის მისჩერებოდა და მისგან ელოდა ხსნას. აკლდათ ხანის მერყველება. გულდასმით შეასრულა თავისი პატა-როლი ქ-მა ქ. ვადაქკორიანამ (ვერა); თავის ადგილ-ზედ იყო აგრედვე ნ. ლლონტი (ნესტორი). სცენარი-უსიკ ვერ ირჯებოდა რაგორც საჭირო იყო. აბი-ყუშ-ში თითქმის ყველა მოთამაშემ ჩინებულად შე-ასრულა თავისი როლი... მშენიერი იყო ბ. ნიკო-ლაიშვილი (რეჟანი), კარგი მ. ჯანელიძე (ელისაბედი), მოლოდინს გადააჭარბა ს. სალაქვაძემ (ალიკო), რომ-ლის მოხდენილია თამაშმა ხანგრძლივი ტაში გამოიწ-ვია, მათ მხარს უმშვენიებდენ ნ. ლლონტი (გასპარა) და ა. ვადაქკორია (კოტე). კომედიამ საერთოდ კარგი შთა-ბეჭდილება დასტოვა...

წარმოდგენა გვიან დაიწყო (10 ს) და ნაშუა-ლამეცის ორ საათამდის გასტანა... უსურვებ მომავალ-ში უფრო დაკვირვებით მომზადებას

ხაიმ შავგერემანი

ს. შრომში კვირას, 1/V, ადგილობრივ საჲი-თხველოს სასარგებლოდ „შრომ-ლაგოდენის“ სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა „გაბატონებული მსახუ-რი“ და „უბედური დღე“; წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა; განსაკუთრებით კარგად ასრულე-ბდენ თავიანთ როლებს „უბედურ დღეში“ მატრონი

და გოგია, ყობა სუსტობდა—კილო არ ჰქონდა ურული. წარმოდგენის დიდძალი ხალხი დაესწრო და ნასამოვნებიც დაიშალა; წმინდა შემოსავალი დარჩა 83 მ. და 59 კ.; იგივე წრე ახლო მომავალში აპირებს წარმოდგენის გამართვას ლავოღენში. გრი-გრი

ბ. ბათუმში, 1 მაისს, ადგილობრივ საკრებულოში ქ. სოფიო ნიკ. ნაკაშიძის, ნინო დ. ქიქოძის, დარო კვეყრაძისა და ბ-ნ გრ. ლ. ელიაშვილის მეთაურობით გამართა თამარობა. საღამოს დაწყებისას ბ. ილ. ივ. ფერაქემ წაიკითხა ვრცელი ლექსიცა თამარის შესახებ, რასაც მოჰყვა სცენები, ლექსები და სიმღერები. საღამოს ხალხი ბევრი ფაქსწრო იმისდა მიუხედავად, რომ მისთვის სამზადისი ზემოხსენებულ პირთაგან დაშორებულ მიზეზთა გამო გვიან დაიწყო... წმინდა შემოსავალი 500 მ-დის გაეგზავნა ქ-ნ ან წერეთლისას მომავალ ქართულ საოსტატო დედათა სემინარიის ფონდის სასარგებლოდ. 9 იენისისათვის განზრახულია აკაკის საღამო გამართოს. დამსწრე

წვრილი ამბები

◆ **მსახიობ-კაშისიკრი ვ. შალიკაშვილი** სოხუმიდან თბილისს დაბრუნდა. მოკეთებულია.

◆ **ვლ. ალ. მახსიშვილის** მონაწილეობით 17 მაისს სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნება „ურთელ აკოსტა“.

◆ **ახალი პიესის** „უროის სისხლის“ როლები უკვე გაანაწილეს და პიესის მზადებას შეუდგნენ. აგნესას როლს შეასრულებს ნ. დავითაშვილი, ტიბოს— ი. ზარდალიშვილი, პიესას დასდგავს კ. ანდრონიკაშვილი, გამგეობს ლ. ახვლედიანისა და კნ. ე. წერეთლისა.

◆ **ალ. ივ. სუმბათაშვილმა-იუშინმა** კვირას, 8 მაისს, სახაზინო თეატრში მონაწილეობა მიიღო პირველ საგასტროლო წარმოდგენაში. დაიდგა მისივე პიესა „ციხის საიდუმლო“, რომელშიაც ალ. სუმბათაშვილმა დიადი ნიჭიერებით განასახიერა პოლკოვნიკ ოლტინის როლი. საზოგადოება აღფრთოვანებით მიეგება, მითრთვეს ორი დაფნის გვირგვინი და თაიგულები.

◆ **ქართველმა მსახიობებმა** ა. ი. სუმბათაშვილს დაფნის გვირგვინი მიართვეს წითელ ლენტით შემდეგი წარწერით: „ხელოვნების ქურუმსა და ჩვენს სიამაყეს ა. ი. სუმბათაშვილს“.

◆ **ახალგაზღა მწერალმა**, ალ. გერასიმოვიმ და წერ სამ მოქმედებანი კომედია „ქვეყნის მარლი“.

◆ **ს. აბაშელი** სწერს მოზდილ პოემას. მეორე ნაწილი უკვე დაწერილი აქვს.

◆ **ირ. ევდოშვილის** დაკრძალვამაც ფართო ხალხურ-ეროვნული ხასიათი მიიღო. მთელი კვირის განმავლობაში ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდებზე დიდძალი ხალხი ესწრებოდა. დაკრძალვის დღეს ეკლესიაში სიტყვები წარმოთქვეს დიკ. ცინცაძემ, ანტონ

ეპისკოპოსმა, ეკლესიის გალავანში პირველი სიტყვა— ივ. გომართელმა, მეორე—ონის ქართველ გბრაველთა რაბინმა ბაზოვმა. ორივე სიტყვა ძლიერ მოეწონა ხალხს. შემდეგ მიტვალბულის კუმო საკაცით ხელით წასაგენა ხალხმა. საკაცე შემკული იყო ვარდ-ყვავილებით. სახალხო სახლთან სიტყვა წარმოთქვა ტრამეის მუშათა წარმომადგენელმა. გ. ხულთანიშვილმა, აქვე—შვენიერი ლექსით მიმართა მიტვალბულის მგოსანმა ბ. ახოს-პირელმა. იუნკერთა სკოლასთან შეეგება ჩუტკერაშვილის ქალ-ვაჟთა მგალობელთა გუნდი. სამარესთან სიტყვები წარმოსთქვეს: მღ. ი. მირიანაშვილმა, სოხუმის მოურავმა ნ. თავდგირიძემ, ფარმაკვეტთა წარმომადგენელმა, ვ. კულულაშვილმა, მოწაფემ გ. ვასაძემ, მუშა იოსელიანმა. ყველა სიტყვა შინაარსიანი იყო და გრძობით ნათქვამი. სიტყვის მოქმელთა მსურველი ბევრი იყო. მაგრამ უკვე ბუნებაც სტიროდა—წვიმა შემოუშინა და სიტყვის მოქმელთა რიცხვიც შემცირდეს. დაესწრენ წოდებთა, ლიტერატურისა და სხ. წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. მგოსანი დაიკრძალა დიდუბის პანთეონში, ვაჟა-ფშაველას გვერდით.

◆ „**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**“—სთვის მივიღეთ 25 მ. თბილისის გამნაწილებელ პუნქტში შეკრებილი.

◆ **სახალხო მწერლის** მ. ლელაშვილის გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო დღეს, 15 მაისს, 11 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვილი.

◆ **მუსულმანთა აუდიტორიაში** შაბათ, 21 მაისს წარმოდგენილი იქნება „დამარცხებულნი“ 5 მოქ. დრ. ირეთელისა. მოგება გადაეცემა ქართ. კულტ. მოყვ. საზ. ქართ. მოღვაწე. აგარაკის ასაშენებლად.

◆ **ქართველი მხატვრები** გასულ კვირას იყვნენ დავით გარეჯის მონასტერში და გადასწყვიტეს რამდენიმე ფრესკის გადმოღება.

◆ **ნაქალაქის თეატრში** დღეს კ. ყიფიანის მონაწილეობით წრის რეჟისორის ს. გოგაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება „სამშობლო“.

◆ **თეატრ „პალაბარ-პალასში“** დღეს, 15 მაისს, შუადღის 1 ს. ადგილობრივ სცენის მოყვარულთა დახმარებით სვერიან ხიმშელის თაოსნობით გამართება წარმოდგენა.

◆ **ს. აბაშელის და ვ. შალიკაშვილის** სასარგებლოდ—მივიღეთ ნიკო სიხარულიძისგან ხაშურში ნაცნობთა შორის შეკრებილი 46 მ. 30 კ.

◆ **ბათუმში** 15 მაისს, სცენის მოყვ. წრის მიერ, ა. კავთელისა და ი. ბარჯელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ირეთელის „ბედნიერი დღე“.

◆ **თბ. ივანე, ნიკოლოზ II სახელმწიფოს საკომპოზიციო სასწავლებელში** წელს 38 მოწაფეთა შორის ექვსმა ქართველმა დაამთავრა კურსი: 1) გ. ელიბერიძემ (ვერცხლის მედალი და კომპოზიციის კანდიდატი), 2, ივ. მანარაძემ, 3, ს. ჟუჟიაშვილმა, 4, დ. გურგენიძემ, 5, ი. ხუციშვილმა და 6, კ. გებტაძემ (ვერცხლის მედალი და კომპოზიციის კანდიდატი).

◆ **რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა**

სახალხო სახლი

ათშაბათს 1 ივნისს ქართულ დრამატ. დასის მსახიობთა მონაწილეობით **ი. ზარდლიშვილი** გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება შირველად ქართულ სცენაზე ბერნშტეინის შიესა დრამა 3 მ. თარგ. შალვა დადიანისა. **აგნებს რუღს შეასრულებს ნ. დავითაშვილი, ტიბოს — ი. ზარდლიშვილი.** ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდენია დასაწყისი საღამოს 8 1/2 ს. ბილეთები იყიდება რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი** გამ. დ. ახვლედიანისა კნ. ელ. წერეთელისა

ურჩიის სისხლი

პაი ყოგოს

„ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 15 — 22 მაის.

ორშაბათი — სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

სამშაბათი — საოჯახო საღამო; ორკესტრი

ოთხშაბათი — სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

ხუთშაბ. — ქართული წარმოდგენა (უფასოდ);

პარასპ. სინემატოგრაფი, ორკესტრი.

შაბათი — ოპერეტა.

კვირა — ორკესტრი; სინემატოგრაფი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრაფი. საღ. 8 ს.

შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდროლისნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცები 1—05 კ.

ნაკალაშვილის თეატრი

კვირას 10 მაისს

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა და მსახიობ კ. **ეიფიანის** მონაწ. წარმოდგენილი იქნება

სამე ყოგოს

დრამა 5 მოქ. დ. ერისთავისა დასაწყისი საღამოს 8 ს.

ადგილების ფასი 20 კაპ. 40 კაპ. მორიგი გამგე შეტყუებულია. რეჟისორი ს. გუგაშვილი.

თეატრი „ავლაზარ-შალასი“

კვირას, 15 მაისს სვეტიცხოველის თათნობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

1 ბატონი და ყმა დრამა 3 მოქ შალვა დადიანისა.

2 დივერტისმენტი (სიტყვა ავლაზარისა და ზარფუხის შესახებ, ლექსები, სცენები, სიმღერები)

3 ოთხი იმერელი მეტად მხიარული კომედია დ. მესხისა

მონაწილეობენ: ქანი მარგველაშვილი; ბაბ., ასათიანი, ბერიძე, მაკალობლიშვილი, სულუხანიშვილი, სალაყია, თაღვირიძე, კიჭინაძე, ტელიძე, წელაძე, ბაბინაშვილი, ხიმშიაშვილი და სხ.

დასაწყისი 1 ს. ადგილების ფასი 25-კ-დან 1 მ-15 კ-დვ რეჟ. **ალ. თავდარიძე** გამგე დ. გოციორიძე.

სახალხო სახლი

სამშაბათს, 17 მაისს, 1916 წ. ქარ. დრამ. დასის მიერ ელ. მესხიშვილის მონაწილეობით

ურჩილ აკოვსტა

დასაწყისი საღ. 8 საათზე ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდენია



უკვე იბეჭდება
ვეელსათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავილ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ქაშს ახალ ხელის მოწერთათვის 2 მან. 50 კაპ.)

ხელის მოწერა მიიღება: ქურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანის“ სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ იოს. იმედაშვილი.

„თეატრი და ცხოვრება“ ში დასაბჭო. მოღვაწე გენერალ-კაპიტან-მთელი გენერალი—ნი მან., ნახევ.—80 მ., მცობ.—15 მ., გერგ.—8 მ. ტყ. წიგ.—100 მ. უკან.—70 მ. წიგნზე შეიძლება შედ. ქალ. გარ. შემოწმ. მოწმ. Тиф. ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაგარის სურათმზიანი ჟურნალი იმშორისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წალიწადი
მართხა

„თეატრი და ცხოვრება“

წალიწადი გამოცემისა მართხა

წლიწად
5 მან.
ნახ. წლ.
8 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა
ჟურნალში ნუთისამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили. ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი